დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109253163**

თარიღი:**12/11/2025**

„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ“ N24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N13/2025 განკარგულების ცნობად მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 154-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული N24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 04 ნოემბრის N13/2025 განკარგულება, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის, თურალ ვალიევის ადგილმონაცვლედ ვაგიფ მუსაევის ცნობის შესახებ ((2025 წლის 18 ნოემბერი) დანართი თან ერთვის)).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

№ 24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

განკარგულება №13/2025

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ

ქ.დმანისი

2025 წლის 4 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 154-ე მუხლის პირველი პუნქტისა და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №გ-109.1092530323 განკარგულების საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. ცნობილ იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს** პარტიული სიით არჩეული დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის **თურალ ვალიევის** (პარტიულ სიაში №2) ადგილმონაცვლედ ამავე საარჩევნო სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი **ვაგიფ მუსაევი** (პარტიულ სიაში №15).

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, ლევან ფირცხელიანის ქ. №7) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **ლევანი ნონიაშვილი**

საოლქო საარჩევნო კომისია
ცესკო
№24
დმანისის
203851209

საოლქო საარჩევნო
ცესკო
№24
დმანისის
203851

ინფორმაცია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადგილმონაცვლის შესახებ

№24 დმანისის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2025 წლის 4 ნოემბრის №13/2025 განკარგულებით დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს მიერ პარტიული სიით არჩეული საკრებულოს გამოკლებული წევრის თურალ ვალიევის ადგილმონაცვლედ ცნობილ იქნეს ამავე სუბიექტის პარტიული სიით საკრებულოს წევრობის რიგით მომდევნო კანდიდატი ვაგიფ მუსაევი საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ადგილმონაცვლე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება აქტის გამოცემის მე-14 დღიდან. (2025 წლის 18 ნოემბერს.)